საქართველოს მელიორაცია
GEORGIAN AMELIORATION
NEWS
აპრილი - ივნისი 2016
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

წილკნის დამშრობი კოლექტორის წმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს

3 აპრილი

სოფ. ძალისისა და წილკნის 200 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული ჭარბი წყლისგან გათავისუფლდება. წილკნის დამშრობი კოლექტორის გაწმენდითი სამუშაოები სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციამ“ მარტში დაიწყო. სისტემას ორმაგი დანიშნულება აქვს - ამავე სადრენაჟე კოლექტორიდან შესაძლებელია სარწყავი წყლის მიღება, რითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება აღნიშნული ტერიტორიის სარწყავი ფართობების წყლით უზრუნველყოფა. სამუშაოები, რომლის შედეგით სოფ. ძალისისა და წილკნის 220 მოსახლე ისარგებლებს, სარწყავი სეზონისთვის დასრულდება.

მიმდინარე სამუშაოები სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, დავით გალეგაშვილმა, შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა, ლევან დვალმა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულმა-გუბერნატორმა, გოჩა ზეიკიძემ დაათვალიერეს.

2012 წლიდან დღემდე შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ჩატარებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად წყალუზრუნველყოფილი ჰექტრამდეა გაზრდილი.

მიწის ფართობი 2 100 ჰექტრიდან 9 500

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ.№6 საინფორმაციო სამსახური : 2 001000 ელ-ფოსტა : info@ag.ge WWW.AG.GE

მაშველის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია დასრულდა

21 აპრილი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციამ“ იმერეთში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მაშველის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია დაასრულა. სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში მაგისტრალური არხის, მეორე და სხვა რიგის გამანაწილებლების 96 კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია მოხდა.

განხორციელებული სარეაბილიტაციო პროექტის შედეგია 4 750 ჰექტარი მიწის ფართობის წყალუზრუნველყოფა, რომლითაც 12 სოფლის მოსახლეობა ისარგებლებს. სარეაბილიტაციო პროექტის ღირებულებამ 3 491 548 ლარი შეადგინა.

რეაბილიტირებული სარწყავი სისტემა სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ დანელიამ, იმერეთის გუბერნატორის პირველმა მოადგილემ, პაატა ნადირაძემ და შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა, ლევან დვალმა დაათვალიერეს.

2012 წლიდან დღემდე იმერეთის რეგიონში განხორციელდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 14 სარეაბილიტაციო პროექტი. შედეგად წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი 970 ჰექტრიდან 12 000 ჰექტრამდე, ხოლო დაშრობილი, კი, 1 200 ჰექტრიდან 4 400 ჰექტრამდე გაიზარდა.

სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები გურიაში

23 აპრილი

სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ დანელიამ, გურიის მხარის გუბერნატორმა, გია სალუქვაძემ და შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა, ლევან დვალმა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მდინარე ფიჩორას მიმდებარე ტერიტორიაზე ჭარბი წყლის მოცილების მიზნით მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშოები დაათვალიერეს.

სამუშაოები 2017 წელს დასრულდება, რის შემდეგაც, 2 900 ჰექტარ მიწის ფართობზე მოხდება ჭარბი წყლის მოცილება და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 10 სოფლის მოსახლეობა აღნიშნული ტერიტორიის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებას შეძლებს. პროექტის ღირებულება 1 272 000 ლარია.

სარეაბილიტაციო სამუშაოებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს "საქართველოს მელიორაცია“ ახორციელებს.

„სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის მელიორაცია უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. შესაბამისად, ამ კუთხით სოფლის მეურნეობის სამინისტრო

აქტიურად მუშაობს. გურიაში, 18 კმ-იანი არხის გაწმენდითი სამუშაოების შემდეგ, ადგილობრივი მოსახლეობა ათწლეულების მანძილზე გამოუყენებელი 3 ათას ჰექტრამდე მიწის ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებას შეძლებს. ეს ხელს შეუწყობს დარგის განვითარების სტიმულირებას“, - აღნიშნა ოთარ დანელიამ.

2012 წლიდან დღემდე, გურიის რეგიონში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 5 სარეაბილიტაციო პროექტი დასრულდა, რომელთა ჯამური ღირებულება 2 150 000 ლარია. სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად, დაშრობილი მიწის ფართობი 2 800 ჰა-დან 3 300 ჰა-მდე გაიზარდა. ამ ეტაპზე, რეგიონში მიმდინარეობს გარდამავალი სარეაბილიტაციო 2 პროექტი, ჯამური ღირებულებით 1,720,406 ლარი, რომლის დასრულების შემდეგ დაშრობილი მიწის ფართობები დამატებით 3 100 ჰა-ით გაიზრდება.

სამუშაო შეხვედრა ქვემო ქართლის რეგიონის ხელმძღვანელობასთან

25 აპრილი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობაში გაიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის გოჩა ცოფურაშვილის და შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორის ლევან დვალის მორიგი სამუშაო შეხვედრა რეგიონის გუბერნატორ პაატა ხიზანაშვილთან და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებთან.

რეგიონის საჭიროებების მაქსიმალურად გათვალისწინების მიზნით სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ადგილობრივ ხელისუფლებებთან მჭიდრო თანამშრომლობით იგეგმება.

ამასთან დაკავშირებით შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა, ლევან დვალმა და კომპანიის ქვემო ქართლის რეგიონის დირექტორმა, ზვიად მანდარიამ, შეხვედრის ფარგლებში რეგიონში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის და დაგეგმილ პროექტების პრეზენტაცია წარმოადგინეს.

საქართველოს მელიორაციის გენერალურმა დირექტორმა, მიმდინარე და დაგეგმილ სამუშაოებთან ერთად, ისაუბრა ბოლნისში განსახორციელებელ პროექტზე, რომელიც შემოდგომაზე დაიწყება. მან დამსწრე საზოგადოებას ასევე მიაწოდა ინფორმაცია იმ პროექტების შესახებ, რომელსაც კომპანია საკუთარი ტექნიკითა და ძალებით განახორციელებს.

როგორც მინისტრის მოადგილემ აღნიშნა: "მელიორაცია ერთ-ერთი განსაკუთრებული მიმართულებაა სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით. აქტიურად ვმუშაობთ ამ მიმართულებით. დიდი სამუშაოებია ჩატარებული მთლიანად ქვემო ქართლში". მისი თქმით, მნიშნელოვანია შემდგომში ასოციაციების ჩამოყალიბება.

სამუშაო შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. კომპანიის წარმომადგენლებმა და ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტების გამგებლებმა განიხილეს რეგიონში საირიგაციო სისტემებთან დაკავშირებული მიმდინარე საკითხები.

ქვემო ქართლის გუბერნატორმა, დადებითად შეაფასა ქვემო ქართლის მხარეში სამელიორაციო სისტემებზე ჩატარებული სარეაბილიტაციო ღონისძიებები და დასძინა, რომ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების აქტიური თანამშრომლობის შედეგია რეგიონში გაორმაგებული წყალუზრუნველყოფილი ფართობები.

2012 წლიდან დღემდე ქვემო ქართლის რეგიონში დასრულდა სამელიორაციო ინფრატსრუქტურის 18 სარეაბილიტაციო პროექტი. შედეგად წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი 24 500 ჰექტრიდან 43 500 ჰექტრამდეა გაზრდილი.

მთის არხის რეაბილიტაცია დასრულდა

4 მაისი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციამ“ მარნეულის მუნიციპალიტეტში მთის არხის რეაბილიტაცია დაასრულა. სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულებამ 3 000 000 ლარი შეადგინა.

რეაბილიტაციის ფარგლებში გაიწმინდა მაგისტრალური არხი, მოეწყო ახალი მილხიდები, აღდგა სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობები და დღეისათვის არხი სრული დატვირთვით ფუნქციონირებს. ჩატარებული სამუშაოების შედეგად, მარნეულის მუნიციპალიტეტის 5 სოფლის მოსახლეობა 620 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის მოსარწყავად ისარგებლებს აღდგენილი საირიგაციო სისტემით.

2012 წლის შემდეგ წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი ქვემო ქართლის რეგიონში 24 500 ჰექტრიდან 43 800 ჰექტრამდეა გაზრდილი.

ხაშმის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

7 მაისი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელი ხაშმის სარწყავი სისტემის გაწმენდითი სამუშაოები აპრილის შუა რიცხვებში დაიწყო. სამუშაოების დასრულების შემდეგ, 300 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი გახდება წყალუზრუნველყოფილი. სოფელი ხაშმის წყალუზრუნველყოფა

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან აქ უნიკალური ჯიშის ყურძენი - ხაშმის საფერავი მოდის. სამუშაოები მიმდინარე წლის მაისის შუა რიცხვებში დასრულდება.

მიმდინარე სამუშაოები სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, დავით გალეგაშვილმა და

შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა, ლევან დვალმა დაათვალიერეს.

2012 წლიდან კახეთის რეგიონში წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი 6000 ჰექტრიდან 14 000 ჰექტრამდეა გაზრდილი.

დასაქმების ფორუმი

12 მაისი

შპს „საქართველოს მელიორაციამ“ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვა უწყებებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებულ დასაქმების ფორუმში. ფორუმზე წარმოდგენილი იყო 50-ზე მეტი დამსაქმებელი საჯარო და კერძო სექტორიდან.

სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ შპს „საქართველოს მელიორაციის“ საქმიანობას, კომპანიაში დასაქმებისა და სტაჟირების შესაძლებლობებს.

სარწყავი წყალი სოფელ ერგნეთში

22 მაისი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ ერგნეთის ტერიტორიაზე ტირიფონის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის 2 კილომეტრიანი მონაკვეთის სარემონტო სამუშაოებს ახორციელებს. სამუშაოების დასრულების შემდეგ, მიმდინარე წლის ივნისიდან სოფელ ერგნეთში წყალუზრუნველყოფილი გახდება 40 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი.

უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში შიდა ქართლის რეგიონში ჩატარებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის შედეგად წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი 11 000 ჰექტრიდან 18 700 ჰექტრამდეა გაზდილი.

ზემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია

29 მაისი

3 სოფლის 1 000 ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები გახდება წყალუზრუნველყოფილი გარდაბნის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ზემო მაგისტრალური არხის სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად.

პროექტის ფარგლებში აღდგება არხის 7 კილომეტრიანი მონაკვეთი. რეაბილიტაცია, რომლის ღირებულებაც 512 000 ლარია, აპრილში დაიწყო და მიმდინარე წლის დეკემბერში დასრულდება.

2012 წლიდან ქვემო ქართლის რეგიონში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 18 სარეაბილიტაციო პროექტი დასრულდა.

ირიგაციის თანამედროვე მეთოდების გავრცელების ხელშეწყობის მიზნით საინფორმაციო კამპანია მრძელდება

10 ივნისი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ ახორციელებს პროექტს ირიგაციის თანამედროვე მეთოდების გავრცელების ხელშეწყობის მიზნით. პროექტის ფარგლებში საინფორმაციო კამპანია მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს. წყალმომხმარებლებთან შეხვედრები გაიმართა შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის, იმერეთის , სამეგრელოსა და კახეთის მხარის სხვადასხვა სოფელში. შპს „საქართველოს მელიორაციის“ წარმომადგენლებმა ადგილობრივ მოსახლეობას წვეთური და დაწვიმებითი ირიგაციის მეთოდების შესახებ პრეზენტაცია წარუდგინეს, მიაწოდეს ინფორმაცია სისტემების გამართვისა და ირიგაციის აღნიშნული მეთოდების უპირატესობების შესახებ.

ირიგაციის წვეთური და დაწვიმებითი მეთოდი მორწყვის ტრადიციულ, მოღვარვით მორწყვის წესზე ბევრად მომგებიანია, ვინაიდან ელექტროენერგიის, წყლის და სასუქის ორჯერ ნაკლებ რესურსს საჭიროებს და მნიშვნელოვნად ზრდის მოსავლიანობას.

ინაბოტის საღრენაჟე არხის რეაბილიტაცია

24 ივნისი

სოფლის მეურნეობის სამინისტრო და შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქვეყნის მასშტაბით სადრენაჟე და საირიგაციო არხების სარეაბილიტაციო სამუშაოებს აქტიურად ახორციელებს.

სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია, შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი ლევან დვალი, კახეთის გუბერნატორის მოადგილესთან ერთად კახეთის რეგიონში ინაბოტის სადრენაჟე არხზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნენ.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ინაბოტის სადრენაჟე კოლექტორის სარეაბილიტაციო სამუშაოები ერთი თვის წინ დაიწყო. პროექტის ფარგლებში გაიწმინდება კოლექტორის 4 კილომეტრიანი მონაკვეთი. სამუშაოების პირველი ეტაპი მიმდინარე წლის ივლისში დასრულდება და 400 ჰექტარ ფართობზე სადრენაჟე მომსახურება აღდგება. შედეგად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 5 სოფლის (ჭაბუკიანი, ქალქვა, ძირკოკი, ჭანდარი, ვეჯინი) მოსახლეობა აღნიშნული მიწის ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებას შეძლებს.

დღეისათვის კახეთის რეგიონში 7 ობიექტზე 8 მლნ ლარის ღირებულების სარეაბილიტაციო სამუშაოები ხორციელდება. სამუშაოების დასრულების შემდეგ, მომავალი წლისთვის რეგიონში რამდენიმე ათასი ჰექტრით გაიზრდება მელიორირებული მიწის ფართობი.

2012 წლიდან კახეთის რეგიონში დასრულდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 26 სარეაბილიტაციო პროექტი. შედეგად წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი რეგიონში 6 000 ჰექტრიდან 14 000 ჰექტრამდეა გაზრდილი.

სადრენაჟე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოებს მინისტრთან ერთად, მინისტრის მოადგილე დავით გალეგაშვილი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები გაეცნენ.